იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის წლიური ანგარიში 2021

2022 წელი
თბილისი

ზოგადი ინფორმაცია პრიორიტეტების შესახებ

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის (შემდგომში - „მინისტრის აპარატი“) სამოქმედო გეგმა, შემუშავდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №885 განკარგულებით დამტკიცებული „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ (შემდგომში - „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“) და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონდებლობით მინისტრის აპარატი შექმნილია სამართალშემოქმედების, ადამიანის უფლებათა დაცვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის უზრუნველყოფის, საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებისა და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების ფარგლებში, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენის, მათი შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მინისტრის აპარატის ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს სამართალშემოქმედება, ადამიანის უფლებათა დაცვა, სამოქალაქო ინტეგრაცია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის წარმოება.

სამართალშემოქმედება

მინისტრის აპარატი, როგორც სამართლაშემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი დაწესებულება, აქტიურად არის ჩართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

I. სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების მიმართულებით, მითითებულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული ბაზის შიდა შესაბამისობის (ურთიერთთავსებადობის) უზრუნველყოფა.

მინისტრის აპარატის მიერ შემუშავდა 13 სამართლებრივი აქტის პროექტი (მათ შორის 7 კანონპროექტი და 6 დადგენილების პროექტი), რომლებიც მიზნად ისახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების როლის ამაღლებასა და მეტი ჩართულობისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რათა მოქნილი და ეფექტური საქმიანობის განხორციელებით უზრუნველყოფილ იქნეს აფხაზეთის ოკუპირებულ

ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების საჭიროებებზე ორიენტირებული, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონებისა და მოქალაქეების საკუთრების უფლების დაცვა, ასევე სამხედრო სავალდებულო/სამხედრო სარეზერვო სამსახურში დევნილთა შეუფერხებელი გაწვევის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ჩართულობა. კერძოდ:

1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი.

2. „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე მცხოვრები პირების საქართველოს მოქალაქეობის დადგენის შესახებ განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

3. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

4. ,,საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 აგვისტოს №400 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

5. ,,საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 აგვისტოს №400 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (მეორე ვარიანტი).

6. „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

7. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

8. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

9. ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

11. „იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი.

12. ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი.

13. „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ნივთის დეკლარირების, საკუთრების უფლების აღიარება-დადასტურებისა და წინანსწარი რეგისტრაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ამასთან, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქვეუწყებო დაწესებულებისა და ა(ა)იპ-ებს შორის ფუნქციათა გადაფარვის, დუბლირებების თავიდან აცილებისა და ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოსაფხვრელად მოძიებულ და შესწავლილ იქნა ზემოთაღნიშნული დაწესებულებების დებულებები და წესდებები, რაზეც მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც გადაიგზავნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, შემდგომი რეაგირების მიზნით.

II. 2021 წელს ნორმატიული აქტის პროექტის შესწავლისა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მინისტრის აპარატის მიერ სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი დასკვნა გაიცა ნორმატიული აქტის **5 (ხუთი)** პროექტზე, ხოლო შესაბამისი შეთანხმების წერილი მომზადდა ნორმატიული აქტის **27 (ოცდაშვიდი)** პროექტზე.

III. 2021 წლის განმავლობაში სულ გამოქვეყნდა აფხაზეთის მთავრობის **33 (ოცდაცამეტი)** დადგენილება და მინისტრის **5 (ხუთი)** ბრძანება. შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების რეესტრის წარმოება და მის საფუძველზე მინისტრის აპარატის მიერ

საკანონმდებლო მონაცემთა ბაზის შექმნა (2021 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები - სულ **38 (ოცდათვრამეტი)**).

გარდა ამისა, მინისტრის აპარატმა განიხილა თავმჯდომარის რეზოლუციით წარმოდგენილი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წერილი, დოკუმენტებთან ერთად, რომლის საფუძველზეც მინისტრის აპარატს დაევალა ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გადახედვის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციის ფარგლებში, ძირეული ასპექტების შესრულების მდგომარეობის გათვალისწინებით შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიის ,,ჩართულობა თანამშრომრობლის გზით“ და თანმდევი ,,ჩართულობის სამოქმედო გეგმის“ განახლების, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საჭიროებებისა და განსახორციელებელი პროექტების თაობაზე წინადადებების შემუშავების მიზნით, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის 2021 წლის 23 ივნისის №46ძ/ს ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატთან კოორდინებული მუშაობის შედეგად მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწეული საქმიანობისა და განუხორციელებელი ინსტრუმენტების მიზეზების გათვალისწინებით, სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და თანმდევი „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის“ განახლების მიზნით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საჭიროებებისა და განსახორციელებელი პროექტების თაობაზე წინადადებების დოკუმენტი, რომელიც მინისტრის აპარატის მიერ წარედგინა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ქალბატონ თ. ახვლედიანთან.

შემდგომ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ჩართულობით მომზადებული შეფასების დოკუმენტების პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედება 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და თანმდევი „ჩართულობის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტის შემუშავებას. აღნიშნული დოკუმენტები მინისტრის აპარატის მიერ გადაიგზავნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულებებიდან შემოსული ინფორმაციების საფუძველზე, შეფასების დოკუმენტის პროექტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი უწყებების მიერ 2010 წლის შემდგომ განხორციელებული მიმართულებებისა და ინსტრუმენტების შესრულების მდგომარეობისა და მიღწეული შედეგების მეტად ასახვის მიზნით, მინისტრის აპარატის მიერ მომზადდა წერილი, რომელიც შემდგომ წარედგინა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს.

ადამიანის უფლებათა დაცვა

მინისტრის აპარატის ერთ-ერთ პრიორიტეტული საქმიანობა არის ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა სამართლებრივი კონსულტაციების გაწევისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, მინისტრის აპარატმა, როგორც აფხაზეთის მთავრობის დაწესებულებამ, მითითებულ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებსა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, კომპეტენციის ფარგლებში, გაუწია იურიდიული ხასიათის კონსულტაციები. კერძოდ:

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა - 84;
2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დევნილის სტატუსის აღდგენა - 75;
3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის მიღება - 73;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, სამართლებრივი ხასიათის კონსულტაცია - 58;
5. სახელმწიფოსგან კომპენსაციების მიღების ინსტრუქციის შესაბამისად, კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაზარალებულთათვის სამართლებრივი კონსულტაცია - 70;
6. წერილობითი სამართლებრივი კონსულტაცია - 10.

მინისტრის აპარატის მიერ, პრიორიტეტული მიმართულების - ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა სტატისტიკური მონაცემების მოძიება, რომლის მიზანს წამოადგენდა, იმის

განსაზღვრა თუ რამდენია აფხაზეთიდან დევნილი ომის ვეტერანი, მარჩენალ დაკარგული, დამსახურებული პედაგოგი, მრავალშვილიანი, მარტოხელა და სოციალურად დაუცველი ოჯახები.

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დევნილთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამოსაცემად მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები:

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“;
- „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“;
- ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ“.

დაკისრებული ამოცანების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ყოველკვირეულად ხორციელდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და რუსულენოვანი მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიება. ასევე, პერიოდულად ითარგმნებოდა უცხოელი ექსპერტებისა და ანალიტიკოსების მიერ გამოქვეყნებული უცხოენოვანი ანალიტიკური სტატიები.

ოკუპირებული რეგიონიდან ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა თანამშრომლობა საკონტაქტო პირებთან, სატელეფონო ინტერვიუების და პირისპირ შეხვედრების სახით, რითიც ხორციელდებოდა ინფორმაციების მოპოვება და დამუშავება.

მინისტრის აპარატის მიერ ზემოაღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, მოძიებულ და დამუშავებულ იქნა მასალები, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ისეთ მოვლენებზე, როგორიც არის COVID-19; თავისუფლად გადაადგილების უფლება; პასპორტიზაცია; უკანონო დაკავებები; ქალთა უფლებები; ბავშვთა უფლებები; საკუთრების უფლება; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და კრიმინალი.

შესაბამისად, მომზადდა წერილი - „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ხელმისაწვდომობის თაობაზე“, სადაც აისახა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ მედია-მონიტორინგის შედეგად მოძიებული ინფორმაცია, რაც გადაეგზავნა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებში.

სამოქალაქო ინტეგრაცია

„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, მინისტრის აპარატის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმიანობად განსაზღვრულია სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია, რასაც მინისტრის აპარატი ახორციელებს გრძელვადიანი პროგრამით - „სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელიც თავისი მხრივ შედგება რამდენიმე ქვეპროგრამისგან:

- სამშვიდობო რესურსები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა (პროგრამის კოდი 19 02 01);
- მშვიდობის ლაბორატორია (პროგრამის კოდი 19 02 03);
- თემატური გზავნილები სამშვიდობო, ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე (პროგრამის კოდი 19 02 08);
- საერთაშორისო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის (პროგრამის კოდი 19 02 09);
- აფხაზური ისტორიის სახლი (პროგრამის კოდი 19 02 10);
- სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა (პროგრამის კოდი 19 02 11).

ქვეპროგრამების გათვალისწინებით განხორციელებული ღონისძიებები:

სამშვიდობო რესურსები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა (პროგრამის კოდი 19 02 01):

1. ღონისძიება - „ხელოვნება გვაერთიანებს“

მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება - „ხელოვნება გვაერთიანებს“. სადაც მოეწყო, მინისტრის აპარატის მიერ შექმნილი 2021 წლის კალენდრის გამოფენა - პრეზენტაცია. კალენდარში ასახულია პოეტების მიერ ქართულ-აფხაზურ თემაზე შექმნილი ლექსები და მისი მიზანია ქართველებისა და აფხაზების უნიკალური ურთიერთოებების წარმოჩენა.

2. კონფერენციების ციკლი

აფხაზთა და ქართველთა ერთობის საზოგადოება „ერთობა ხვალისთვის“ ერთად დაიგეგმა და განხორციელდა სამეცნიერო კონფერენციების ციკლი „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“.

აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები და შეხვედრები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ღონისძიებების მიზანი იყო ოკუპაციის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის და მისი მოგვარების გზების მოძიების პროცესში ფართო მასების ჩართულობის, აფხაზური კულტურისა და ხელონების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

3. ესეების კონკურსი - „ჩემი აფხაზეთი“

საანგარიშო პერიოდში მინისტრის აპარატის მიერ განხორციელდა ესეების კონკურსი - „ჩემი აფხაზეთი“, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ინტერესის გაზრდა აფხაზეთისადმი, მათი სამშვიდობო ხედვების გამოვლენა და წახალისება, ჩვენება იმისა, თუ თითოეულ მოქალაქეს საკუთარი ისტორიის ცოდნაზე დაფუძნებული ახალი იდეებით, როგორ შეუძლია პოზიტიური ცვლილებების მოხდენა და პოსტკონფლიქტური საზოგადოების ქცევის შეცვლა.

კონკურსის დასრულებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის შემდგომ კი, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მხარდაჭერით გაიმართა ესეების კონკურსის - ,,ჩემი აფხაზეთი“ გამარჯვებული კონკურსანტების დაჯილდოება.

საუკეთესო ნამუშევრის ავტორებს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები და სერტიფიკატები, ათეულში მოხვედრილ საუკეთესო ნაშრომის ავტორები კი დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით და სიმბოლური საჩუქრებით.

4. ღონისძიება - „გერმანული ენის კურსდამთავრებულების დაჯილდოება“

2021 წლის პირველ ნოემბერს ვალერი არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში ჩატრდა ღონისძიება **,,გერმანული ენის კურსდამთავრებულების დაჯილდოება“**, რომლის მიზანი იყო საგანმანათლებლო, მათ შორის საერთაშორისო პროგრამებში, ქართულ-აფხაზური საზოგადობის ჩართულობის მხარდაჭერა და წახალისება, სამშვიდობო რესურსის მობილიზება ნდობის აღდგენის, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის.

5. პროექტი - „აფხაზეთობა - 2021“

2021 წლის 19-20 მაისს, „აფხაზეთობის“ კვირეულის ფარგლებში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისსა და წყალტუბოში არსებულ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში, აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონიდან დევნილი ბავშვებისთვის გაიმართა სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები.

ამავე კვირეულის ფარგელბში, 21 მაისს აფხაზეთის დღესთან დაკავშირებით კაჭრეთის „ამბასადორის“ საცხენოსნო კლუბის ბაზაზე „აფხაზეთის თასზე“ გამართული საცხენოსნო შეჯიბრის შემდეგ, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის საგუნდო კაპელისა და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო

აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. მოეწყო, ასევე, ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“ და ცნობილი მხატვრის ელდარ ქავშბაიას ნამუშევრების გამოფენა.

23 მაისს კი, მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, „აფხაზეთობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით თბილისის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის ეპარქიის მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილის მიერ აღვლენილი წირვა-ლოცვის დასრულების შემდგომ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება „აფხაზეთობა - 2021“.

ღონისძიებაზე მოეწყო ფოტო-გამოფენა „ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“, რომელშიც ასახულია ქართულ-აფხაზური უნიკალური ურთიერთობები, უძველეს ხელნაწერებში დაცული ცნობები აფხაზეთზე და იქ არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების მდგომარეობა დღეს. გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერის - „ფოტორეპროდუქცია ჯორჯ ბაირონის პოეზია გადაწერილი ილორში“.

ამავე დღეს, ღონისძიების ფარგლებში „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ აფხაზეთის ღვაწლმოსილ ადამიანებს (გურამ ოდიშარიას, ვლადიმერ ბარქაიას, რევაზ სულუხიას) გადაეცათ ჯილდოები.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე, გაიმართა კონცერტი აფხაზეთის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“, ანსამბლ „შავნაბადას“ და ბავშვთა ანსამბლ „გუმბათის“ მონაწილეობით, მოეწყო კალიგრაფ ლეილა ბაღბაიას გამოფენა - მასტერკლასი და აფხაზური სამზარეულოს დეგუსტაცია.

6. კონფერენცია „მედიის როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში“

2021 წლის 19-21 ნოემბერს, ქ. თელავში, სასტუმრო „შუხმანში“ გაიმართა კონფერენცია „მედიის როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში“, რომლის მიზანი იყო მედიის, როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში სამშვიდობო გზავნილების გავრცელებასა და საზოგადოების ცნოებირების ამაღლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტისა და რგოლის წარმოჩენა.

მშვიდობის ლაბორატორია (პროგრამის კოდი 19 02 03):

1. ღონისძიება - „ქალი და მშვიდობა“

2021 წლის 6-8 მარტს მინისტრის აპარატის ორგანიზებით დაიგეგმა და განხორციელდა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება. კერძოდ, მინისტრის აპარატის თანამშრომლების მონაწილეობით სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ თბილისსა და რეგიონებში აფხაზეთის ომში მონაწილე

ქალბატონებსა და სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა ოჯახის წევრებს.

2. სააღდგომო ღონისძიებები

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, მინისტრის აპარატის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვა უწყებებთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილი სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის, მოეწყო სააღდგომო აქცია - „უფრო ახლოს ერთმანეთთან“.

აქციის ფარგლებში შეძენილი და გადაცემული იქნა სააღდგომო ნობათი. ასევე, დაიგეგმა და განხორციელდა შიდა ღონისძიება **„გახადე სიკეთე გადამდები“,** რომელიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობისთვის 50 ცალი სააღდგომო ნობათის ნაკრების შეძენასა და გადაცემას.

3. სასწავლო კურსი „საგრანტო პროექტების წერა“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ - „სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან“ ერთად დაიგეგმა და 2021 წლის 10-12 აპრილს, სსიპ - „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ დაქვემდებარებაში არსებულ ვალერი არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში განხორციელდა სასწავლო კურსი - „საგრანტო პროექტების წერა“, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის.

კურსის მიზანი იყო სტუდენტებში ეფექტური პროექტების წერისათვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავება.

მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო წარმატებული კურსდამთავრებულები დაჯილდოვნენ სპეციალური პრიზებით.

4. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

2021 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის ღონისძიებები გაიმართა, კერძოდ:

მუშთაიდის ბაღში, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მონაწილოებით ჩატარდა ღონისძიება - **„მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს“,** რომლის ფარგლებშიც გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. კონცერტზე შესრულდა ცნობილი საბავშვო სიმღერები და ნაწყვეტები მიუზიკლებიდან. ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ფოტოსესიაში ზღაპრულ გმირებთან ერთად, ასევე, მოეწყო მხიარული ვიქტორინა პრიზებით. ღონისძიების

დასასრულს აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს ტკბილეულობა და სხვადასხვა სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ.

გარდა ამისა, ქ. ზუგდიდში, მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა შეხვედარა ქ. ზუგდიდში არსებულ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონიდან დევნილ ბავშვებთან.

აღნიშნული ღონისძიებები ბარამბოსა და ბიბლუსის მხარდაჭერითა და თანადგომით განხორციელდა.

5. გამწვანების აქცია „ბუნებასთან ჰარმონიაში“

2021 წლის 5 ივნისს, მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოს მოზარდთა თავშესაფარსა და ღვთისმშობლის საფარველის სახელობის დედათა მონასტერში გამწვანების აქციები მოეწყო, რომლის ფარგლებშიც მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიებზე მწვანე ნარგავები დარგეს.

აქციის მიზანი იყო გარემოს დაცვით აქტივობებში მონაწილეობით, ბუნების მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და გარემოს გამწვანების ხელშეწყობა.

6. პროექტი - „ევროპული არდადეგები“

მინისტრის აპარატის, საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ - „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სსიპ - „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ერთობლივი ორგანიზებით განხორციელდა პროექტი - ,,ევროპული არდადეგები“.

ღონისძიების ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის (უფროსი კლასის მოსწავლეები, სტუდენტები) მოეწყო ერთდღიანი სემინარების ციკლი, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები შეხვდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და მოწვეულ ექსპერტებს და მათგან მიიღეს უახლესი ინფორმაცია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე, აღნიშნული პროცესის შედეგად მიღებულ სარგებელზე და ჩაერთვნენ დისკუსიაში ისეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, ქართული კულტურისა და იდენტობის ევროპული ოჯახის კუთვნილება.

სემინარებში მონაწილეობას 50 ახალგაზრდა იღებდა.

7. პროექტი - „იცხოვრე სპორტით“

მინისტრის აპარატის მიერ განხორციელდა პროექტი - **„იცხოვრე სპორტით“**, რომელიც განხორციელდა ქ. ქუთაისში 12-15 წლამდე ასაკის აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების მონაწილეობით. ღონისძიების მიზანი იყო სკოლის მოსწავლეთა და ახალგაზრდების ფიზიკური განათლებისა და

სპორტში მასობრივი ჩართვის ხელშეწყობა, ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და შესაბამისი უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება, ზოგადად სპორტით დაინტერესება და მისი პოპულარიზაცია ჰარმონიულად განვითრებული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

8. აქცია - „ოფთალმოლოგიური კონსულტაცია“

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან ერთად დაიგეგმა აქცია „ოფთალმოლოგიური კონსულტაცია“, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 2-3 ივლისს, ქალაქ ზუგდიდში. აქცია მოიცავდა უფასო ოფთალმოლოგიურ კონსულაციებს აფხაზეთიდან დევნილი ბენეფიციარებისათვის. აქციის ფარგლებში 120 პენსიონერს, შშმ პირებს, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას კვლევები ჩაუტარეს უკრაინიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა, რომლებიც უახლესი აპარატურით შეამოწმეს და ადგილზევე გადასცეს ბენეფიციარებს შესაფერისი სათვალეები სრულიად უსასყიდლოდ.

9. ღონისძიება - „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვა“

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ღონისძიება - ,,აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვა“, რომელიც გაიმართა დისტანციურად აფხაზური ენის დაცვის დღესთან დაკავშირებით 2021 წლის 27 ოქტომბერს. ღონისძიების მიზანი იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების მიმოხილვა, პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტის მექანიზმების შემუშავება, ასევე, მათი ზოგადსაერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს განხილვა.

10. პროექტი - „გიორგი აფხაზის ვირტუალური გამოფენა“

მინისტრის აპარატის მიერ განახორციელდა პროექტი - „გიორგი აფხაზის ვირტუალური გამოფენა“, რომლის მთავარი მიზანი იყო გიორგი აფხაზის ცხოვრებისა და მისი შემოქმედების შესახებ ქართული და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობა, ქართველებისა და აფხაზების საერთო კულტურის წარმოჩენა, მათ შორის კულტურული კავშირების გაღრმავება, სამოქალაქო განათლების ამაღლება და სამოქალაქო აქტივობის ზრდა.

11. პროექტები - ლიტერატურულ-აფხაზური პერფორმანსი „შემომეგებე აფხაზეთო“, სპექტაკლი „მოგზაურობა დროში“, „ეს ჩემი სამშობლო“ (დისტანციურად)

2021 წლის 6-8 დეკემბერს ბათუმში, ქართველთა და აფხაზთა საზოგადოების - „ერთობა ხვალისთვის“ და ა(ა)იპ - „ფესვები-XXI-თან“ პარტნიორობით

განხორციელდა პროექტები - ლიტერატურულ-აფხაზური პერფორმანსი „შემომეგებე აფხაზეთო“, სპექტაკლი „მოგზაურობა დროში“, „ეს ჩემი სამშობლო“ (დისტანციურად). პროექტების მიზანი იყო ქართული და აფხაზური საზოგადოების, აკადემიური პერსონალის, სამოქალაქო სექტორის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გააქტიურება შერიგების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში, ახალგაზრდების დამეგობრება, ერთმანეთის უკეთ გაცნობა, აზრებისა და იდეების გაზიარება, კონფლიქტების დარეგულირების საქმეში ახალი გზების ძიება, ქართველებსა და აფხაზებს შორის კულტურული კავშირების გაღრმავება და ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების ხელშეწყობა.

12. პროექტი - „გააზიარე სიკეთე“

მინისტრის აპარატის ორგანიზებით ბერი ანდრიას სახელობის ფონდის პატრონაჟის ქვეშ მყოფი მშენებარე სარეაბილიტაციო ცენტრს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები გადაეცა.

ღონისძიება ბერი ანდრიას ფონდთან პარტნიორობით განხორციელდა.

13. ვებინარი - „საკუთრების უფლება და დევნილთა დაბრუნების უფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე“

მინისტრის აპარატის ორგანიზებით ონლაინ პანელური დისკუსია - „საკუთრების უფლება და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე“ გაიმართა. შეხვედრა სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა.

თემატური გზავნილები სამშვიდობო, ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე (პროგრამის კოდი 19 02 08):

პროექტი - „სოციოლოგიური კვლევა თემაზე „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების აღწერა“

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროექტი - „სოციოლოგიური კვლევა თემაზე „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების აღწერა“, რომელიც შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „კონფლიქტის ზონებიდან მოქალაქეთა კერძო საკუთრების დაცვისა და სოციალურ - ეკონომიკური რეაბილიტაციის კავშირი ფენიქსი-სოხუმი“ ერთად.

პროექტი ითვალისწინებდა კვლევების ჩატარებას, ევროკავშირის, გაეროსა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზსა და შესწავლას კონფლიქტის დარეგულირების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქონების რესტიტუციის საკითხებზე და დევნილი საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას ამ საკითხების განხილვაში.

საერთაშორისო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის (პროგრამის კოდი 19 02 09):

1. ღონისძიება - „აფხაზეთობა და საერთაშორისო საზოგადოება“

2021 წლის 21 მაისს აფხაზეთის დღესთან დაკავშირებით კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართა ღონისძიება „აფხაზეთობა და საერთაშორისო საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი, საერთაშორისო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის ცონობიერების ამაღლება აფხაზეთის შესახებ, ასეგვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ასრსებული ეროვნული, ისტორიული და კულტურული ღირებულებებისა და ტრადიციების გაცნობა/პოპულარიზაცია.

აფხაზური ისტორიის სახლი (პროგრამის კოდი 19 02 10):

1. „აფხაზური ისტორიის სახლი“

შპს - ,,ილორის წმინდა გიორგის ტაძართან“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ტაძრის ტერიტორიაზე ე. წ. „ოდის ტიპის ხის სახლის“ მოეწყო, რომელსაც აფხაზეთის საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.

ოდაში განთავსდა აფხაზეთის ისტორიის მუდმივმოქმედი, პერიოდულად განახლებადი გამოფენა და მოეწყო აფხაზეთობის დღესთან დაკავშირბული ღონისძიებები.

ამასთან, მინისტრის აპარატის ინიციატივით, ილორის წმინდა გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესიის ეზოში, რამდენიმე ათეული ძირი აფხაზური და მეგრული ვაზის უნიკალური ჯიშები დაირგო (აფხაზური უნიკალური ჯიშები - აწნიჟი, აშუღაჟი, აშხაფში, ამლახუ და ავასირხვა).

ღონისძიების ფარგლებში, მინისტრის აპარატის თანამშრომლების მონაწილეობით, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქციაც მოეწყო.

2. ფოტოგამოფენა - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“

2021 წლის 21 ივლისს, მინისტრის აპარატის მიერ აფხაზური ისტორიის სახლში გაიმართა ფოტოგამოფენა - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“.

ექსპოზიციაზე გამოიფინა ფოტომასალები პირადი არქივიდან, რომლებზეც ასახულია აფხაზეთის საზოგადოების წევრების სხვადახვა თაობის უნიკალური ურთიერთოებები.

ფოტოგამოფენის მიზანი იყო საერთო ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენა.

სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა (პროგრამის კოდი 19 02 11):

1. „საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი“

მინისტრის აპარატის ორგანიზებით დაიგეგმა და 2021 წლის 25 თებერვალს, ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში განხორციელდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი“.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ფოტოგამოფენები - „საბჭოთა ოკუპაციის 100 წელი“, „აფხაზეთი დღეს“ და „მუჰაჯირობა“, ასევე გაიმართა მუჰაჯირობასთან დაკავშირებული პუბლიკაციის პრეზენტაცია და გამოფენა.

ღონისძიების ფარგლებში, ზუგდიდის სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებს სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ.

ღონისძიების მიზანი იყო დევნილი საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ, ისეთი გამოფენის ორგანიზება, რომელიც ასახავდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ისტორიულ ფაქტებს, მათ შორის მის მძიმე შედეგებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

2. პროექტი - „ახალ სასწავლო წელს ახალი შემართებით“

ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ინგირსა და ოქტომბერში და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხო-ეწერში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში, კოპიტნარში, სენაკში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს მინისტრის აპარატის ორგანიზებით საჩუქრად სასკოლო ნივთები გადაეცათ.

ამასთან, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, იმერეთსა და სამეგრელოს დევნილთა რამდენიმე კომპაქტურ ჩასახლებაშიც მცხოვრებ 6-დან 9-წლამდე ასაკის მოსწავლეებსაც გადაეცათ სასკოლო საჩუქრები.

სულ, სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სასწავლო ნივთები საჩუქრად 300-მდე ბავშვმა მიიღო.

3. პროექტი - „დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“

მინისტრის აპარატის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი **„დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“**.

პროექტის ფარგლებში 2021 წლის 6-7 ნოემბერს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ფოცხოეწერში მოეწყო და გაიხსნა აღნიშნული სივრცე. პროექტის მიზანი იყო ფოცხოეწერში მცხოვრები დევნილი ბავშვებისა და მოზარდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდის, ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა მათი სხვადასხვა გასართობ - შემეცნებით, საგანმანათლებლო თუ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით. ბენეფიციარებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენების, საკუთარი

შესაძლებლობების თვითრეალიზაციის, პიროვნული ზრდის და სხვა უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება ექნებათ.

4. პროექტი - „სამოქალაქო ინტეგრაციის აკადემია აფაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის“

2021 წლის 12-16 ნოემბერს თბილისში, სასტუმრო ,,არმაზსა“ და სასტუმრო ,,მუზეუმში“ განხორციელდა პროექტი **„სამოქალაქო ინტეგრაციის აკადემია აფაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის“.** პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების კომპეტენციების ამაღლება სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხების, საზოგადოების ჩართულობის სხვადასხვა გზების შესწავლის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობდა 30 ახალგაზრდა.

5. ღონისძიება - „ინტეგრაციისა და ჩართულობის ახალგაზრდული ფორუმი“

2021 წლის 17 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა ღონისძიება **„ინტეგრაციისა და ჩართულობის ახალგაზრდული ფორუმი“.** ღონისძიების მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიკაცია, რის საფუძველზეც მოხდება ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც მიმართულია დევნილთა ინტეგრაციის მხარდასაჭერად, ასევე, აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების როლისა და რესურსის გამოკვეთა და გააქტიურება. ფორუმის ამოცანა იყო „საორიენტაციო“ დოკუმენტის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედება იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრატეგიის დოკუმენტს.

ფორუმში მონაწილეობდა 70 ახალგაზრდა.

სხვა ღონისძიებები

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დევნილთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით გაიმართა:

  - ლექცია თემაზე - „ქოუჩინგი წარმატებისთვის“;

  - საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან თემაზე: „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება“.

- მინისტრის აპარატში, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბატონ ბექა ძამაშვილის მიერ ჩატარდა სემინარი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთვარობის სტრუქტურული

ერთეულების თანამშრომლებისათვის თემაზე: „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლისა და საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლის ურთიერთმიმართება“, რომლის მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სამრთლისა და საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლის არსებული პრობლემატიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება, საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალში ასრებული გამოწვევების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების შესახებ.

• მინისტრის აპარატში საანგარიშო პერიოდში გაიმართა **შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან** (GIZ) გლობალური პროგრამის „მიგრაცია და დიასპორის“ კოორდინატორს, ქალბატონ ირმა წერეთელსა და დიასპორის ექსპერტს, ქალბატონ ნათია კიკალეიშვილს. შეხვედრაზე განიხილეს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) გლობალური პროგრამა „მიგრაცია და დიასპორა“, რომლის ფარგლებშიც გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტი, მინისტრის აპარატის „სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის“ ბენეფიციარებს, ცოდნის გაზიარებისა და გაღრმავების მიზნით შეასწავლის გერმანულ ენას.

• მინისტრის აპარატმა **მონაწილეობა მიიღო გერმანიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში,** რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის საელჩოს ფინანსურ დახმარებას მცირე პროექტების განხორციელებისათვის. გრანტის მიღების შემთხვევაში, დახმარება გაეწეოდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფოცხოეწერის დევნილთა დასახლებას, რომლიც შედგება 300 ოჯახისგან. აქედან 200 ოჯახი არის აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი. ხსენებული 200 ოჯახიდან 85 ოჯახი არის სოციალურად დაუცველი. ფოცხოეწერში საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა განათლების ცენტრი, რომელსაც, სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის სჭირდება ინფორმატიკის ოთახის მოწყობა. არსებულ ცენტრში ინფორმატიკის ოთახის მოწყობა დასახლებაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ პირებს შესაძლებლობას მისცემს აითვისონ/გაიუმჯობესონ სხვადასვა სახის კომპიუტერული უნარჩვევები.

• **წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით** მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოს მოზარდთა თავშესაფარში მცხოვრებ მოზარდებს სიმბოლური საჩუქრები, მათ შორის მინისტრის აპარატის თანამშრომლების მონაწილეობით შეგროვებული წიგნები გადაეცათ.

საქვეუწყებო დაწესებულების საქმიანობა

მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამართველო მუშაობდა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს დებულებით“.

შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა-გაუმჯობესების დარგში

საქართველო ეროვნულ არქივში წარდგა ანგარიში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ორგანიზაციის შესახებ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს პასპორტი) - ცნობები, ზუსტი მონაცემებით შედგენილი, ფონდების შემადგენლობასა და მოცულობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო მუშობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში მიღებული და დაცული მმართველობითი და პირადი შემადგენლობის დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმებაზე, საქმეთა რაოდენობა - სულ 1225 (ათას ორას ოცდახუთი), მათ შორის მმართველობითი 865 (რვაას სამოცდახუთი) და პირადი შემადგენლობის 350 (სამასორმოცდაათი).

გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული იყო 1125 (ათას ას ოცდახუთი) საქმის შემოწმება, რაც შესრულდა 100%-ით. სსიპ - „საქართველოს ეროვნულ არქივს“ წარედგინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში დაცულ ფონდის ბარათებში განხორციელებული ცვლილება ლიკვიდირებული დაწესებულების (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტის) მიღებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს საკატალოგე ბარათების შესადგენად გამოყოფილი ჰქონდა შემდეგი თემები:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები. აღნიშნულ დოკუმენტებზე 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 350 (სამასორმოცდაათი) საკატალოგე ბარათის შედგენა, რაც შესრულდა 100%-ით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო მუშაობდა მასთან დაცული დოკუმენტების დიგიტალიზაციის სერვისზე. კერძოდ

შეყვანილი იქნება ელექტრონულად - ქალაქ ოჩამჩირის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საფუძვლები - საარქივო ფონდი №6 1997-2004 წლების ჩათვლით სრულად (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საფუძვლები სასამართლო - გადაწყვეტილებები). ამჟამად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო მუშაობას აგრძელებს გულრიფშის საარქივო ფონდი №5 და ქალაქ სოხუმი საარქივო ფონდი №1 სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საფუძვლების ელექტრონულ ატვირთვაზე.

ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების დარგში

საანგარიშო პერიოდში დაზუსტდა აფხაზეთის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამართველოს დაკომპლექტების წყარო - დაწესებულებათა სია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს მუდმივმოქმედი საექსპერტო - კომისიის მიერ, რომელიც შემდგომ შეთანხმებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს საექსპერტო - შემმოწმებელ კომისიის სხდომაზე - ოქმი №1.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამართველოს დაკომპლექტების წყარო დაწესებულებებში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმება. შემოწმება შეეხო 2021 წლის გეგმა - გრაფიკით გათვალისწინებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 3 (სამ) დაწესებულებას. კერძოდ - სსიპ - „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სსიპ - „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს.

აღნიშნულ დაწესებულებებს საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ორგანიზაციისა და საარქივო საქმის მიმართულებით გაეწია სათანადო რეკომენდაციები და მითითებები:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში დაცული დროებით შესანახი (6 წლის ჩათვლით) საარქივო ფონდების საბუღალტრო დოკუმენტებზე არქივის სამმართველომ ჩაატარა მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა შემდეგი საარქივო ფონდების (№5; 8; 39, 47; 48 და 51):

№5 - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2014 წლის დოკუმენტების; №8 - განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის 2014 წლის დოკუმენტების; №39 - აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს 2014 წლის დოკუმენტების; №47 - რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის 2014 წლის დოკუმენტების; №48 - სამოქალაქო თანხმობისა და კომფლიქტის დარეგულირების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის 2014 წლის დოკუმენტების; №51 - აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ - კინოცენტრ ,,აფხაზეთის“ 2010-2014 წლების დოკუმენტების.

გასანადგურებლად შერჩეულ (6 წლის ჩათვლით) საბუღალტრო დოკუმენტებზე ჩატარებული მიზნობრივ შემფასებელი ექსპერტიზის შედეგად სულ განადგურდა (აქტი №1), (აქტი №2), (აქტი №3), (აქტი №4), (აქტი №5), (აქტი№6) - ით შედგენილი 128 (ასოცდარვა) საქმე. (სშკ-ს ოქმი №3) .

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველომ სახელმწიფო დაცვაზე მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ლიკვიდირებული დაწესებულების ფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტის) დოკუმენტები, სულ 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტიმეტი) შესანახი ერთეული 2007-2020 წლების მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმეები სამეცნიერო აპარატით. მათ შორის, მმართველობითი 21 (ოცდაერთი) და პირადი შემადგენლობის 76 (სამოცდათექვსმეტი) შესანახი ერთეული.

2021 წლის სამუშაო გეგმა - გრაფიკის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა-დაცვის, გამოყენების, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილება სრული დატვირთვით მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დოკუმენტური ფონდის მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებასა და შემდგომში სახელმწიფო დაცვაზე-მიღების მიზნით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში საარქივო ფონდი №45 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტები მეორედ შემოვიდა სახელმწიფო დაცვაზე.

ანაწერ №1-ში შეტანილია 2007-2017 წლების 163 (ას სამოცდასამი) მუდმივად შესანახი საქმე, №№1-დან 163-ის ჩათვლით, რომელსაც დაემატა P.S - ით გამოტანილი 1997-2006 წლების 7 (შვიდი) საქმე. სულ: ანაწერ №1-ში შეტანილია 170 (ას სამოცდაათი) მუდმივად შესანახი საქმე.

ანაწერ №2-ში შეტანილია 2007-2017 წლების 56 (ორმოცდათექვსმეტი) ხანგრძლივად შესანახი საქმე №№1-დან 56-ის ჩათვლით, რომელსაც დაემატა P.S - ით გამოტანილი 1996-2006 წლების 10 (ათი) საქმე. სულ: ანაწერ №2-ში შეტანილია 66 (სამოცდაექვსი) ხანგრძლივად შესანახი საქმე.

სულ 236 (ორასოცდათექვსმეტი) შესანახი ერთეული 2007-2017 წლების მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმეები სამეცნიერო აპარატით. მათ შორის მმართველობითი 170 (ას სამოცდაათი) და პირადი შემადგენლობის 66 (სამოცდაექვსი) შესანახი ერთეული.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მუდმივად შესანახი შესანახი ერთეულების სახელმწიფო დაცვაზე მიღება სრულად ვერ იქნა შესრულებული პანდემიის შედეგად. ხოლო, გადაჭარბებაა პირადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო დაცვაზე-მიღების.

ეროვნული საარქივო ფონდის ხარისხიანად დაკომპლექტებისა და დაწესებულებებში დოკუმენტების დაცვისა და აღრიცხვის მიზნით ორგანიზაციულ და მეთოდური დახმარებები გაეწია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წყარო დაწესებულებების არქივებს, საექსპერტო-კომისიებს მუშაობისა და საქმისწარმოების დოკუმენტთა ორგანიზაციის სრულყოფის საქმეში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს დახმარებით შემუშავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“, საქმეთა კრებსითი ნომენკლატურა. 2021 წელს ჩატარდა არქივის სამმართველოს საექსპერტო -კომისიის 2 (ორი) სხდომა და არქივის სამმართველოს საექსპერტო -შემმოწმებელი კომისიის 5 (ხუთი) სხდომა.

2021 წლის მდგომარეობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამართველოს არქივ საცავში ინახება 56 (ორმოცდათექვსმეტი) დაწესებულების საარქივო ფონდი, 1992-2021წ.წ-ს სულ 9 838 (ცხრა ათას რვასოცდათვრამეტი) საქმე, აქედან მუდმივად შესანახია 6 645 (ექვსი ათას ექვსას ორმოცდახუთი) საქმე, ხოლო ხანგრძლივად 3 193 (სამიათას ას ოთხმოცდაცამეტი).

დოკუმენტების გამოყენების დარგში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 341 (სამას ორმოცდაერთი) მოთხოვნა და სათანადო პასუხით გავიდა 366 (სამას სამოცდაექვსი) წერილი, აქედან სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში სამოქალაქო აქტების აღდგენის საფუძველზე შემოვიდა 171 (ას სამოცდაათი) მოთხოვნა, მათგან 107 (ას შვიდი) დადებითი პასუხი გაეცა, ხოლო 64 (ორმოცდაცხრამეტი) მოთხოვნას უარყოფითი პასუხი, მოქალაქეთა მხრიდან შემოვიდა 143 (ას ორმოცდასამი) მოთხოვნა, მათგან 75-ს (სამოცდათხუთმეტს) დადებითი პასუხი გაეცა, ხოლო 68-ს (სამოცდარვას) - უარყოფითი პასუხი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო საანგარიშო პერიოდში სათანადო დახმარებას უწევდა მკვლევარებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონის მნიშვნელოვან მოვლენებზე არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენების საშუალებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში დაცულია „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახურის“ - საარქივო ფონდი №49, სადაც ინახება გენოციდის მსხვერპლის მასალები და მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ემსახურება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური რეალობისა და თავისებურებებიდან გამომდინარე ვადაზე ადრე ხდება მომსახურებააფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს (ი.გ.პ) სოციალ-სამართლებრივი ხასიათის ცნობების გაცემით.